საინფორმაციო ბიულეტენი | ივლისი

გენდერული თანასწორობის საბჭომ ივლისის თვეში ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციის შესრულებაზე აქტიური მუშაობა დაიწყო

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ძალისხმევის გასაძლიერებლად, გენდერული თანასწორობის საბჭომ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან ერთად ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ორი სამუშაო შეხვედრა გამართა.

13 ივლისის სამუშაო შეხვედრაზე, საკონსულტაციო ჯგუფის წევრებმა განიხილეს ევროკავშირის მიერ ქვეყნის მიმართ გაცემული მე-9 რეკომენდაცია, შეხვედრის ფარგლებში საბჭომ წარადგინა რეკომენდაციის შესრულების მთავარი მიმართულებები, რის შემდეგაც შეხვედრა დისკუსიის ფორმატში გაგრძელდა. საკონსულტაციო ჯგუფთან შეხვედრას ესწრებოდნენ პარტნიორი დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე იმ საჯარო უწყებების წარმომადგენლები, რომლებთანაც გენდერული თანასწორობის საბჭო აქტიურად თანამშრომლობს.

27 ივლისის სამუშაო შეხვედრაზე, დისკუსიის ფორმატში განხილულ იქნა ევროკავშირის მიერ ქვეყნის მიმართ გაცემული მე-9 რეკომენდაციის შესრულების შინაარსობრივი მხარე და ამ მიმართულებით განსახორციელებელი სამომავლო ნაბიჯები.

ივნისის თვეში საბჭომ გაავრცელა 3 განცხადება

4 ივლისს საბჭო გამოეხმაურა მიმდინარე წლის 1-5 ივლისის თბილისი პრაიდის კვირეულის მშვიდობიან გარემოში ჩატარებას. საზოგადოების ყველა წევრისთვის გამოხატვის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ინკლუზიური და ტოლერანტული საზოგადოების შესაქმნელად. აგრეთვე საბჭომ განცხადებით მადლობა გადაუხადა შინაგან საქმეთა სამინისტროს ლგბტქი+ თემის უსაფრთხოების დაცვისა და თანასწორობის უფლების რეალიზებაში შეტანილი წვლილისთვის.

20 ივლისის განცხადებით საბჭომ ღიად დაგმო მედმუშაკის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებული ვიდეო, რომელიც სექსუალური მიზნებისთვის ქალის უმწეო მდგომარეობის გამოყენებას პროპაგანდირებდა.

21 ივლისს საბჭო მიესალმა შსს-ს დროულ რეაგირებას ეთნიკური უმცირესობის თემის წარმომადგენელი ქალის მიმართ ძალადობის ფაქტზე და გამოხატა მოლოდინი, რომ ყოველი ძალადობრივი აქტი შემდგომშიც ასე დროულად და ეფექტურად აღიკვეთება.

საბჭოს წევრმა მარიამ ლაშხმა მონაწილეობა მიიღო ონლაინ რეგიონული ღონისძიების პრაქტიკულ სესიაში

მიმდინარე წლის 4 ივლისს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა მარიამ ლაშხმა მონაწილეობა მიიღო ონლაინ რეგიონული ღონისძიების პრაქტიკულ სესიაში, თანასწორობის თაობათა ფორუმში-ტექნოლოგიები და ინოვაციები გენდერული თანასწორობისთვის (TIGE). მარიამ ლაშხმა აქცენტი გააკეთა საქართველოს პრაქტიკაზე, თანასწორობის თაობის ფარგლებში ვალდებულებების აღსრულების მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის შექმნასა და მისი საქმიანობის პრიორიტეტებზე.

საინფორმაციო ბიულეტენი | ივლისი

გენდერული თანასწორობის საბჭოს გაფართოებული სამუშაო შეხვედრა

მიმდინარე წლის 4-5 ივლისს შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტების, სამინისტროების, მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოსა და დონორი ორგნიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით გასვლითი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში განხილულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ინიციატივები, როგორიცაა: გენდერული თანასწორობის ახალი სახელმწიფო კონცეფცია, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ახალი სახელმწიფო კონცეფცია, გენდერული გავლენის ანალიზის მეთოდოლოგიის ინსტიტუციონალიზაცია კანონშემოქმედებით საქმიანობაში. შეხვედრის ფარგლებში საბჭომ წარადგინა თემატური მოკვლევის ანგარიში - გენდერული მეინსტრიმინგი სამთავრობო პოლიტიკაში, ამასთან გაიმართა დისკუსია საბჭოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე, გამოწვევებსა და სამომავლო ნაბიჯებზე.

საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი NATO-ს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელს ალექსანდრ ვინიკოვს შეხვდა

მიმდინარე წლის 8 ივლისს ნინო წილოსანი ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოების საკითხებზე NATO-ს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელს ალექსანდრ ვინიკოვს შეხვდა. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა იმსჯელეს გაეროს უშიშროების საბჭოს 1325-ე რეზოლუციის მიხედვით საბჭოს სამოქმედო გეგმასა და მიმდინარე საქმიანობებზე, აგრეთვე განიხილეს თანამშრომლობის შესაძლო ფორმატები და სამომავლო ნაბიჯები.

საბჭომ მონაწილეობა მიიღო სამუშაო შეხვედრაში ქალთა მიმართ ძალადობის თაობაზე ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვების შესახებ

მიმდინარე წლის 12 ივლისს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიასთან თანამშრომლობით დაგეგმილ შეხვედრაზე, შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად საბჭომ განიხილა სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების არსებული პრაქტიკა და საერთაშორისო სტანდარტები. სამუშაო ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს ამ კუთხით არსებულ გამოწვევებზე და მისი გადაჭრის შესაძლო გზებზე.

საბჭო დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაციას დაესწრო

მიმდინარე წლის 12 ივლისს გენდერული თანასწორობის საბჭო დაესწრო დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის 2021 წლისა და 2022 წლის ექვსი თვის საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაციას, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა კომიტეტის ძირითადი ამოცანები, განხორციელებული აქტივობები და სამომავლო გეგმები.

საინფორმაციო ბიულეტენი | ივლისი

საკოორდინაციო შეხვედრა ლგბტქი+ უფლებებზე

მიმდინარე წლის 15 ივლისს გენდერული თანასწორობის საბჭომ მონაწილეობა მიიღო სამუშაო შეხვედრაში, რომელიც ლგბტქი+ თემის უფლებრივ მდგომარეობას ეხებოდა. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა ლგბტქი+ სათემო და სხვა ადგილობრივი ორგანიზაციების როლი ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების მხარდაჭერაში.

სამუშაო შეხვედრა ალიმენტის გადაუხდელობის დარეგულირების შესახებ

მიმდინარე წლის 20 ივლისს გენდერული თანასწორობის საბჭოსა და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით ალიმენტის საკითხებზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში მოხდა საუკეთესო პრაქტიკების შესახებ კვლევის პრეზენტაცია, აგრეთვე სამუშაო ჯგუფის წევრებმა განიხილეს ალიმენტის გადაუხდელობის კულტურული და საკანონმდებლო გამოწვევები საქართველოში, ალიმენტის გადაუხდელობასთან დაკავშირებული გამოწვევები და მათი მოგვარების გზები.

საბჭო დაესწრო ,,თანასწორობის მოძრაობის“ დაფუძნების თერთმეტი წლის იუბილეს

მიმდინარე წლის 29 ივლისს გენდერული თანასწორობის საბჭო დაესწრო თანასწორობის მოძრაობის“ ოფიციალურ მიღებას, რომელიც ორგანიზაციის დაფუძნების 11 წლის იუბილეს მიეძღვნა. ღონისძიებაზე განხილულ იქნა საქართველოში ლგბტქი+ ადამიანების უფლებრივ მდგომარეობა და წარდგენილ იქნა ახალი კვლევა ლგბტქი+ თემის სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების შესახებ. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში გაანალიზებულია განათლების, სოციალური დაცვისა და შრომის პოლიტიკის განხორციელების პრობლემური ასპექტები.

გენდერული თანასწორობის საბჭო პანკისში ადგილობრივ მეწარმე ქალებს შეხვდა

საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი პანკისში ვიზიტისას ოთხ მეწარმე ქალს ესტუმრა და მათი საოჯახო სასტუმროები მოინახულა. შეხვედრის ფარგლებში მხარეები შეთანხმდნენ ადგილობრივი მეწარმე ქალების ეკონომიკური გაძლიერების მიზნით განსახორციელებელ სამომავლო აქტივობებზე.

იძულებით გადაადგილებული, კონფლიქტით დაზარალებული და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქალების და ახალგაზრდა გოგოების ნამუშევრების გამოფენა

მიმდინარე წლის 27 ივლისს საბჭო დაესწრო იძულებით გადაადგილებული, კონფლიქტით დაზარალებული და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქალების და ახალგაზრდა გოგოების ნამუშევრების გამოფენას. აღნიშნული პროექტი განხორციელდა სსიპ „კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს'' მხარდაჭერით და ხელს შეუწყობს იძულებით გადაადგილებული, კონფლიქტით დაზარალებული და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქალებისა და ახალგაზრდა გოგოების გააქტიურებას და მათი შემოქმედების პოპულარიზაციას.

საბჭოს გასვლითი შეხვედრა პანკისის ქალთა უხუცესთა საბჭოსთან

გენდერული თანასწორობის საბჭო სოფელ დუისში უხუცეს ქალთა საბჭოს წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ისაუბრეს საბჭოს როლზე და მათ საქმიანობაზე პანკისში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით. აგრეთვე შეთანხმდნენ სამომავლო თანამშრომლობის ფორმატებზე და აქტივობებზე, რომლებსაც ისინი უახლოეს პერიოდში ერთობლივად განახორციელებენ.